"დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი
_____ ნ. ტეფნაძე
27 12 2019
დადგენილება №28/10

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი

ძირითადი ასლი

1. სარჩევი

1. სარჩევი 2
i. ცვლილებები 4
ii. ცვლილებების ისტორია 5
iii. მოქმედი გვერდების სია 6
2. დოკუმენტაციის კონტროლი 7
1.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია 7
3. ძირითადი ნაწილი 8
მუხლი 1. ზოგადი დებულებები 8
მუხლი 2. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია 8
მუხლი 3. საბაკალავრო ნაშრომი და თემის ხელმძღვანელი 9
მუხლი 4. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა 9
მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომი 11
1.2 სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა 11
1.2.1 სატიტულო გვერდი 12
1.2.2 განცხადება პლაგიატზე 12
1.2.3 მადლობა (არ არის სავალდებულო) 12
1.2.4 აბსტრაქტი (ქართულად და ინგლისურად) 12
1.2.5 სარჩევი 13
1.2.6 ცხრილების, დიაგრამების და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი 13
1.2.7 შემოკლებების ჩამონათვალი (საჭიროების შემთხვევაში) 13
1.2.8 შესავალი 13
1.2.9 სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 14
1.2.10 კვლევის მეთოდოლოგია 14
1.2.11 შედეგების ანალიზი 14
1.2.12 დასკვნები და რეკომენდაციები 15
1.2.13 თეორიული და მეთოდოლოგიური შეზღუდვები 15
1.2.14 ბიბლიოგრაფია 15
1.2.15 დანართი (არსებობის შემთხვევაში) 15
1.3 აკადემიური წერის სტილი 15
1.4 სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი 18

1.5 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი 19

1.6 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევა..... 19

4. დანართები 20

დანართი 1. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა..... 20

დანართი 3. სატიტულო გვერდი 22

დანართი 4. აბსტრაქტი (ქართულად და ინგლისურად)..... 23

დანართი 5. სარჩევი..... 24

i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი	თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი

ii. ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი

iii. მოქმედი გვერდების სია

თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი		თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი
0	1	0	დეკემბერი 2019					
1	2	0	დეკემბერი 2019					
i	3	0	დეკემბერი 2019					
ii	4	0	დეკემბერი 2019					
iii	5	0	დეკემბერი 2019					
2	6	0	დეკემბერი 2019					
3	7	0	დეკემბერი 2019					
3	8	0	დეკემბერი 2019					
3	9	0	დეკემბერი 2019					
3	10	0	დეკემბერი 2019					
3	11	0	დეკემბერი 2019					
3	12	0	დეკემბერი 2019					
3	13	0	დეკემბერი 2019					
3	14	0	დეკემბერი 2019					
3	15	0	დეკემბერი 2019					
3	16	0	დეკემბერი 2019					
3	17	0	დეკემბერი 2019					
3	18	0	დეკემბერი 2019					
3	19	0	დეკემბერი 2019					
4	20	0	დეკემბერი 2019					
4	21	0	დეკემბერი 2019					
4	22	0	დეკემბერი 2019					
4	23	0	დეკემბერი 2019					
4	24	0	დეკემბერი 2019					

2. დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

1.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

3. ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის ინსტრუქცია (შემდგომში - ინსტრუქცია) აწესრიგებს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებასა და დაცვასთან დაკავშირებულ ტექნიკურ და პროცედურულ საკითხებს.
2. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შესრულება სტუდენტს შეუძლია დამამთავრებელ სემესტრში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.
3. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმები დადგენილია შესაბამისი სილაბუსებით.
4. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება შუალედური და დასკვნითი შეფასების საშუალებით. შუალედური შეფასება ტარდება ორჯერ, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტის მიერ განხორციელებული სამუშაოების სწორი მიმართულების მიცემას და ე.წ. Feedback-ს თემის ხელმძღვანელის მხრიდან. შუალედური შეფასებების მაქსიმალური შეფასებაა 30 -30 ხოლო საბოლოო შეფასება არის 40 ქულიანი.
5. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასების საშუალებით. შუალედური შეფასება არის განმავითარებელი შეფასება (ტარდება ორჯერ), რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტის მიერ დაგეგმილი კვლევის პირველად შეფასებას, სწორი მიმართულების მიცემას და ე.წ. Feedback-ს თემის ხელმძღვანელის მხრიდან. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების შემთხვევაში თემის ხელმძღვანელი ყოველკვირეულად ინდივიდუალურად ხვდება სტუდენტებს მათი საჭიროების გათვალისწინებით და განიხილავს თემის ირგვლივ წამოჭრილ პრობლემურ საკითხებს. ამასთან, თემის ხელმძღვანელი კონსულტაციებს უწევს სტუდენტებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც.
6. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული შეფასებების მიზანია ე.წ. მუდმივი მონიტორინგის განხორციელება სტუდენტის საქმიანობაზე, დროული რეკომენდაციების და მითითებების მიცემა, რაც საბოლოო ჯამში ორიენტირებული იქნება დახვეწილი ნაშრომის შექმნაზე. ასეთი სახის შეფასების სისტემის დამკვიდრებით შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ცდილობს შექმნას ეფექტიანი მექანიზმი განათლების ხარისხის განსავითარებლად და ხელი შეუწყოს სტუდენტთა მომავალ სამეცნიერო საქმიანობას.

მუხლი 2. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია

1. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია (შესაძლებელია იყოს ერთად ან ცალ-ცალკე) იქმნება რექტორის მიერ ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატურების გათვალისწინებით. კომისიის შემადგენლობაში შედიან: ნაშრომის ხელმძღვანელი (სათათბირო ხმის უფლებით), ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე და შესაბამისი დარგის არანაკლებ 2 სპეციალისტი. რექტორის გადაწყვეტილებით სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება მოწვეულ იქნენ პოტენციური დამსაქმებლები, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.
2. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია (შემდგომში - კომისია) უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 3 წევრი მაინც. ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:
   2.1. ხუთი სახის დადებით შეფასება:
   (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
   (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
   (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

2.2. ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. რომელიც არის კომისიის თითოეული წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკული. სათათბირო ხმის უფლების მქონე წევრები შეფასების პროცედურაში არ იღებენ მონაწილეობას.
4. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელიც წარედგინება შესაბამის ფაკულტეტს და მხედველობაში მიიღება აკადემიური ხარისხის მინიჭების დროს.
5. ნაშრომის დაცვა საჯაროა და გრძელდება 10-15 წუთის განმავლობაში.

მუხლი 3. საბაკალავრო ნაშრომი და თემის ხელმძღვანელი

1. საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პერიოდი მოიცავს ერთ სემესტრს. ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული თემატიკიდან, სტუდენტი ირჩევს საბაკალავრო თემას, რომელსაც არეგისტრირებს ფაკულტეტზე. თემის შერჩევა ხდება თემის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.
2. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნდა იყოს არანაკლებ სამი თემის ხელმძღვანელისა.
3. საბაკალავრო ნაშრომი არის წერითი პროექტი, რომელშიც უნდა გამოვლინდეს სტუდენტის ცოდნის დონის, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების ხარისხის შესაბამისობა აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. საბაკალავრო ნაშრომის შესრულება ხდება ქართულ ენაზე. გამონაკლისია ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა შეადგენს 30-40 გვერდს. საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისას აუცილებელია გამოყენებულ იქნეს მინიმუმ 10 ნაშრომი ან სახელმძღვანელო.

მუხლი 4. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა

1. საბაკალავრო ნაშრომის გვერდების მინიმალური რაოდენობაა 30 გვერდი თავფურცლის, ბიბლიოგრაფიისა და დანართების გარეშე. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი კომპონენტები:
2. **თავფურცელი** - საბაკალავრო ნაშრომის თავფურცელის გაფორმებისას გამოიყენება შემდეგი პარამეტრები (იხ. ნიმუში#2):
   - შრიფტი - (Unicod-ში კოდირებული შრიფტი, Sylfaen);
   - შრიფტის ფორმა და ზომა: პირველი ხაზი - 14, გამუქებული და სწორი; მეორე და მესამე ხაზი - 12, გამუქებული და სწორი; მესამე ხაზი - 12, დახრილი; მეოთხე ხაზი - 12, სწორი; მეხუთე ხაზი: 12, სწორი; მეექვსე ხაზი - 12, გამუქებული და სწორი.
   - ველები: მარჯვენა ველი - 2 სმ; მარცხენა ველი - 2,5 სმ; ზედა ველი - 2 სმ; ქვედა ველი - 2 სმ;
   - ტექსტის კიდეები გასწორებული ორივე მხარეს;

- ხაზებს შორის დაშორება: პირველი და მეორე ხაზი - 5 სტრიქონი; მეორე და მესამე ხაზი - 3 სტრიქონი; მესამე და მეოთხე ხაზი - 3 სტრიქონი; მეოთხე და მეხუთე ხაზი - 8 სტრიქონი; მეხუთე და მეექვსე ხაზი - 1 სტრიქონი;
- სტრიქონებს შორის დაშორება: 1,5

3. **სარჩევი** -სარჩევში უნდა იყოს აღნიშნული საბაკალავრო ნაშრომის ყველა ნაწილი (თავი, ქვეთავი და ა. შ.) ნაშრომში მათი თანმიმდევრობის შესაბამისად.

   სარჩევის სწორი დაფორმატებისთვის გამოიყენება შემდეგი პარამეტრები *(იხ. ნიმუში #1 ქვემოთ):*
   - შრიფტი - (Unicod-ში კოდირებული შრიფტი, Sylfaen);
   - შრიფტის ფორმა და ზომა: სათაური („სარჩევი“) - 14, გამუქებული და სწორი; სარჩევში შესული ნაწილების სათაურები - 12 , სწორი;
   - ველები: მარჯვენა ველი - 2 სმ, მარცხენა ველი - 2.5 სმ, ზედა ველი - 2 სმ, ქვედა ველი 2 სმ;
   - ტექსტის კიდეები გასწორებულია ორივე მხარეს;
   - სტრიქონებს შორის დაშორება - 1.5;
   - სათაურსა და ტექსტს შორის დაშორება - 2 სტრიქონი;
4. **აბრევიატურების ჩამონათვალი** - იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომში გამოყენებულია აბრევიატურები, მათი სრული ჩამონათვალი და შესაბამისი განმარტებები საბაკალავრო ნაშრომის ძირითადი ტექსტის დაწყებამდე უნდა იყოს მოცემული.
5. **პრობლემა და მისი კონტექსტი** - კომპონენტში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული და ჩამოყალიბებული ბიზნეს ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პრობლემა და მისი კონტექსტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება პრობლემის გამომწვევი ფაქტორები და პრობლემით გამოწვეული მიზეზები. კონტექსტის ანალიზი მოიცავს შემდეგ ელემენტებს: პრობლემის აქტუალობა. კვლევის მიზანი, კვლევის ამოცანები, საკვლევი ჰიპოთეზა/კითხვა/კითხვები, კვლევის მეთოდოლოგიის მოკლე მიმოხილვა.
6. **ლიტერატურის მიმოხილვა** - კომპონენტში თანმიმდევრულად უნდა იყოს განხილული პრობლემის რელევანტური ლიტერატურა. ლიტერატურის მიმოხილვა უნდა იყოს თანმიმდევრული, ხოლო წყაროები - სანდო. ლიტერატურის მიმოხილვა უნდა იძლეოდეს პრობლემის შესწავლისთვის ადეკვატური მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების შესაძლებლობას.
7. **მეთოდოლოგია** - კომპონენტში თანმიმდევრულად და ნათლად უნდა იყოს აღწერილი პროექტის მეთოდოლოგია. აქ ფოკუსი უნდა კეთდებოდეს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებზე, როგორც არის მაგ. შერჩევა, მონაცემების შეგროვება, ანალიზის ინსტრუმენტები, და ა.შ; მეთოდოლოგია უნდა იყოს პრობლემის და პროექტის მიზნის შესაბამისი და ეყრდნობოდეს არსებულ ლიტერატურას.
8. **ანალიზი** - ამ კომპონენტში მოცემული უნდა იყოს მონაცემების ანალიზი, შესაბამისი ილუსტრაციები (მაგ. ცხრილები, გრაფიკები, დიაგრამები და ა.შ.).
9. **დასკვნა** - ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს მონაცემთა ანალიზის შედეგების დისკუსიას/ინტერპრეტაციას, მათ მიმართებას პროექტის ამოცანებთან (კითხვასთან/კითხვებთან და/ან ჰიპოთეზასთან). ნაშრომის ამ კომპონენტში უნდა იყოს ჩამოყალიბებული რეკომენდაციები ბიზნესის ადმინისტრირების პრობლემის ეფექტურად გადაჭრის გზების შესახებ. ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კავშირი რეკომენდაციებსა და მონაცემების ანალიზის შედეგებს შორის.
10. **ბიბლიოგრაფია** - ამ ნაწილში ყველა გამოყენებული წყარო (ელექტრონული თუ ბეჭდვითი მასალები) უნდა იყოს მითითებული ანბანური თანმიმდევრობით. ლიტერატურის სწორი მითითებისთვის გასათვალისწინებელია ჩიკაგოს სტილის წყაროების მითითების წესები

11. **დანართი** - დანართის დანიშნულებაა მკითხველს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ნაშრომში არ არის მოცემული. საბაკალავრო ნაშრომის ამ ნაწილში შეიძლება იყოს მოცემული პროექტის დეტალები (მაგ.: კითხვარი, დამატებითი გრაფიკები, ცხრილები, რუკები და სხვა).
12. საბაკალავრო ნაშრომის ძირითადი ნაწილის დაფორმატებისას გამოიყენება შემდეგი პარამეტრები:
    - შრიფტი - (Unicod-ში კოდირებული შრიფტი, Sylfaen ან მსგავსი);
    - ტექსტის შრიფტის ზომა - 12;
    - სათაურების შრიფტის ფორმა და ზომა: პირველი დონის სათაური - 14, გამუქებული და სწორი; მეორე დონის სათაური - 12, გამუქებული და დახრილი; მესამე დონის სათაური - 12 და დახრილი;
    - სათურებსა და სტრიქპნებს შორის დაშორება - 1.5
    - ტექსტის სტრიქონებს შორის მანძილი - 1.5;
    - ველები: მარჯვენა ველი - 2 სმ, მარცხენა ველი - 2.5 სმ, ზედა ველი - 2 სმ, ქვედა, ველი 2 სმ;
    - ძირითადი ნაწილის გვერდები ინომრება არაბული ციფრებით.

მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომი

1. სამაგისტრო ნაშრომი არის დამოუკიდებელი კვლევითი ანგარიში. მოცემული ნაშრომის კვლევის საგანი დაკავშირებულია საავიაციო საინჟინრო/ბიზნესის ადმინისტრირების დარგთან და მიზნად ისახავს:
    1.1. ცოდნის გაფართოვებას და გაღრმავებას,
    1.2. საკვლევი კომპანიის შესწავლას,
    1.3. გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით კვლევის ჩატარებას,
    1.4. კვლევის შედეგად მიღებული შედეგების ანალიზს,
    1.5. კვლევიდან მიღებული დასკვნების დასაბუთებას,
    1.6. გამოწვევების გადაჭრის გზების მოძიებას.
2. სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას უნდა გამოავლინოს ორიგინალური იდეების შემუშავების შესაძლებლობა და წარმოადგინოს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზები, რომელიც მან კვლევის პროცესში გამოკვეთა და რომლისთვისაც გამოიყენა კვლევის უახლესი მეთოდები და მიდგომები. სტუდენტმა აგრეთვე უნდა გამოავლინოს რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი.
3. სამაგისტრო ნაშრომი ახდენს სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის სისტემატიზაციასა და გაღრმავებას. ნაშრომში გამოკვეთილი უნდა იყოს, როგორც თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი, ასევე პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება, რომელიც სტუდენტმა სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის ფარგლებში მიიღო.

1.2 სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა

1. შესავალი ნაწილი
    1.1. სატიტულო გვერდი
    1.2. განცხადება პლაგიატზე

1.3. მადლობა (არ არის სავალდებულო)
1.4. აბსტრაქტი (ქართულად და ინგლისურად)
1.5. სარჩევი
1.6. ცხრილების, დიაგრამების და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი
1.7. შემოკლებების ჩამონათვალი (საჭიროების შემთხვევაში)

2. ძირითადი ნაწილი
   2.1. შესავალი
   2.2. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა
   2.3. კვლევის მეთოდოლოგია
   2.4. შედეგების ანალიზი
   2.5. დასკვნები და რეკომენდაციები
3. დამატებითი მასალა
   3.1. თეორიული და მეთოდოლოგიური შეზღუდვები
   3.2. ბიბლიოგრაფია
   3.3. დანართი (არსებობის შემთხვევაში)

1.2.1 სატიტულო გვერდი

1. სატიტულო გვერდი არ ინომრება და წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის თავფურცელს, სადაც მითითებული უნდა იყოს:
   1.1. უნივერსიტეტის დასახელება (შრიფტის ზომა - 12),
   1.2. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (შრიფტის ზომა - 12),
   1.3. სტუდენტის სახელი და გვარი (შრიფტის ზომა - 12),
   1.4. სამაგისტრო ნაშრომის სათაური (შრიფტის ზომა - 14),
   1.5. ხელმძღვანელის სახელი და გვარი (შრიფტის ზომა - 12),
   1.6. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ადგილი - ქალაქი და ნაშრომის შესრულების წელი (შრიფტის ზომა - 12). იხილეთ დანართი 3.
   1.7. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართული უნიკოდით

1.2.2 განცხადება პლაგიატზე

1. სტუდენტი ადასტურებს რომ ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს და წარმოადგენს პლაგიატის გამოვლენის პროგრამა “Urkund”-ის ანალიზის შედეგს.

1.2.3 მადლობა (არ არის სავალდებულო)

1. სურვილის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია ნაშრომი მიუძღვნას მისთვის სასურველ ადამიანს, ორგანიზაციას ან მოვლენას.

1.2.4 აბსტრაქტი (ქართულად და ინგლისურად)

1. რეზიუმე არის კვლევის მოკლე აღწერა, სადაც მითითებულია: გამოყენებული მეთოდები და მიღებული შედეგები. მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი. რეზიუმეს მოცულობა - 300-400 სიტყვა. რეზიუმე შესრულებული უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე, შესაბამისი თანმიმდევრობით. იხილეთ დანართი 4.

1.2.5 სარჩევი

1. სარჩევი მოცემული ნაშრომის დეტალური აღწერაა: თავების, ქვეთავების და გვერდის ნომრების მითითებით. სათაურები და ქვესათაურები უნდა იყოს მოკლე, მკაფიო და შეესაბამებოდეს თემის საგანს და მოცემული ნაწილის შინაარსს. სათაურები და ქვესათაურები არ უნდა შეიცავდეს აბრევიატურას. თავები, ქვეთავები და პუნქტები უნდა იყოს დანომრილი არაბული ციფრებით. იხილეთ დანართი 5.

1.2.6 ცხრილების, დიაგრამების და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი

1. ცხრილების, დიაგრამები ან/და სხვა ტიპის ილუსტრაციის დანომრვა მიმდინარეობს ერთმანეთთან აღრევის გარეშე. დანომრვა მიმდინარეობს არაბული ციფრებით.

1.2.7 შემოკლებების ჩამონათვალი (საჭიროების შემთხვევაში)

1. შემოკლებების ჩამონათვალი მოიცავს ნაშრომში გამოყენებულ შემოკლებებს - აბრევიატურებს და მათ გაშიფვრას. უცხოური აბრევიატურა გაშიფრული უნდა იყოს როგორც ორიგინალ, ასევე ქართულ ენაზე.

1.2.8 შესავალი

1. სამაგისტრო ნაშრომის შესავალი ნაწილი უნდა მოიცავდეს, შემდეგ ქვეპუნქტებს:
   1.1. სამაგისტრო ნაშრომის მიზნებს,
   1.2. საგანს,
   1.3. იდენტიფიცირებულ საკვლევ პრობლემას,
   1.4. აღწერილ კვლევის პრაქტიკულ და თეორიულ ღირებულებას,
   1.5. დასაბუთებულ განსახილველი თემის რელევანტურობას და სიახლეს, კვლევის ჰიპოთეზას ან დაცულ თეზისებს.
2. კვლევის პრაქტიკული ღირებულების აღწერის დროს ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული მის პრაქტიკულ გამოყენებაზე, კვლევის შედეგებისა და დასკვნების პრაქტიკულ დადასტურებაზე. თემისა და კვლევის რელევანტურობა დასაბუთებულია თემის განხილვით, საკვლევი პრობლემის წარმოდგენით, კვლევის საგნის აღქმის დონით, საგნის გააზრებული აღქმისა და კვლევის პრაქტიკის საჭიროებით. თემისა და კვლევის სიახლე ვლინდება თემის პრაქტიკული რელევანტურობით.
3. ჰიპოთეზები შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: აღწერილობითი, განმარტებითი და ა. შ. ჰიპოთეზა განსაზღვრავს კვლევის საგანს და ადეკვატურ მეთოდოლოგიას. ჰიპოთეზა არის ვარაუდი, რომელიც მიუთითებს: ახალი წესების, მიზეზ-შედეგობრიობის, გარემოს ან ინდივიდუალური ფაქტორების ზემოქმედების და სხვ. არსებობის ალბათობაზე, რომელიც დასაბუთებულია, თუმცა ჯერ არ არის დამტკიცებული და გამოცდილი. ჰიპოთეზა არ უნდა შეიცავდეს დაუსაბუთებელ ვარაუდებს.
4. კვლევის მიზნები და ამოცანები უნდა ჩამოყალიბდეს სამაგისტრო თემასთან და ჰიპოთეზასთან მიმართებით. მიზანი აჩვენებს მთელი კვლევის მიზნობრიობას და მოსალოდნელ შედეგს – გაანალიზებული პრობლემის გადაწყვეტას, ახალი მონაცემების წარმოდგენას.

5. კვლევის ამოცანები ავლენს მიზნის მიღწევის გზებს; ისინი მიზნის მიღწევის საშუალებებია. ნაშრომში არ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ისეთი ამოცანები, რომლებიც თემასთან არაა დაკავშირებული და მიზნის მიღწევის თვალსაზრისით რელევანტური არ არის.

1.2.9 სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

1. ლიტერატურის მიმოხილვა გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილობრივი და უცხოური ლიტერატურის ანალიზს, რომელიც ციტირების შესაბამისი ნორმების დაცვით უნდა იყოს შემოთავაზებული. ლიტერატურის მიმოხილვა იძლევა შესაძლებლობას სტუდენტი გაეცნოს საკვლევ სფეროში არსებულ ისტორიულ და თანამედროვე მასალებს, რომელიც მას ეხმარება საკვლევი ჰიპოთეზისა და თავად კვლევის ძირითადი ასპექტების ჩამოყალიბებაში/გარკვევაში.

1.2.10 კვლევის მეთოდოლოგია

1. მეთოდოლოგიის აღწერისას სტუდენტმა უნდა განმარტოს თუ რატომ აირჩია კონკრეტულად ეს მეთოდოლოგია და დაასაბუთოს ის შესაბამისი არგუმენტებით. კვლევის მეთოდოლოგია სამაგისტრო ნაშრომის მიზნებს უნდა ემსახურებოდეს და პასუხობდეს მოცემული კვლევის საჭიროებებს. მეთოდოლოგიის მთავარი მიზანია ჩატარებული კვლევის დეტალური აღწერა, კერძოდ სტუდენტმა უნდა მიუთითოს:
   1.1. კვლევის ტიპი:
      1.1.1. თვისობრივი,
      1.1.2. რაოდენობრივი,
      1.1.3. შერეული.
   1.2. კვლევის მეთოდი:
      1.2.1. დედუქცია (მსჯელობა ლოგიკის საფუძველზე, როცა რამდენიმე წინაპირობიდან იქმნება ახალი ვარაუდი);
      1.2.2. ინდუქცია (მსჯელობა ლოგიკის საფუძველზე, როცა ატრიბუტების გამეორებას მივყავართ დასკვნამდე, რომ იმავე ატრიბუტების მქონე საგანი განეკუთვნება საგანთა კონკრეტულ კლასს);
      1.2.3. შედარება (მსჯელობა ლოგიკის საფუძველზე, როცა ორი საგანი ერთმანეთს დაუპირისპირდება მათ შორის მსგავსებებისა და განსხვავებების გამოსავლენად).
   1.3. კვლევის პროცედურა
      1.3.1. განხილული უნდა იყოს გამოყენებული მეთოდიკის შესაბამისი მონაცემების შეგროვების პროცესი, იქნება ეს რაოდენობრივი თუ თვისობრივი მონაცემები. ასევე, ყურადღება უნდა მიექცეს მონაცემების სანდოობას და ვალიდურობას. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ წინააღმდეგობებზე, რომელსაც წააწყდა სტუდენტი მონაცემთა მიღებისას და ახსნას, თუ როგორ გადაჭრა სტუდენტმა მის წინაშე არსებული გამოწვევები.

1.2.11 შედეგების ანალიზი

1. მოცემულ ეტაპზე საჭიროა სტუდენტმა მოახდინოს კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი. აგრეთვე მნიშვნელოვანია მიღებული კვლევის შედეგების

განმარტება და დისკუსია მათ ირგვლივ. მნიშვნელოვანია მონაცემების სიღრმისეული ანალიზი და წარმოდგენილი არგუმენტების დასაბუთება. აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ თუ ავტორი იყენებს კვლევის რაოდენობრივ მეთოდოლოგიას, მაშინ მონაცემების მხოლოდ აღწერილობითი ანალიზი საკმარისი არ არის და ჰიპოთეზების შესაფასებლად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჭიროა მონაცემების სტატისტიკური ანალიზი და მათი ახსნა.

1.2.12 დასკვნები და რეკომენდაციები

1. ნაშრომის ბოლო ეტაპზე აუცილებელია კვლევის შედეგად მიღებული დასკვნებისა და რეკომენდაციების ლაკონურად ჩამოყალიბება. მოცემული უნდა იყოს ნაშრომის ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნები და რეკომენდაციები. დასკვნები უნდა ეფუძნებოდეს შესრულებულ სამუშაოს, გაანალიზებულ მასალას და ადეკვატურად იყოს ჩამოყალიბებული შესავალში განსაზღვრულ ამოცანებთან მიმართებით.

1.2.13 თეორიული და მეთოდოლოგიური შეზღუდვები

1. არსებობის შემთხვევაში სტუდენტმა უნდა მიუთითოს ნაშრომში არსებული თეორიული და მეთოდოლოგიური შეზღუდვები, სადაც აღწერილია საკვლევ თემაში დასმული ამოცანის მიმართ თეორიული და პრაქტიკული შეზღუდვები: გამოყენებული თეორიის კრიტიულ ანალიზთან, მეთოდოლოგიის შესაძლო სხვაგვარ ინტერპრეტაციასთან, დასკვნების შესაძლო ცდომილებასთან და სხვა.

1.2.14 ბიბლიოგრაფია

1. ბიბლიოგრაფიაში ასახულია ციტირებული, გადაკეთებული, მითითებული თუ ნახსენები ნაბეჭდი, ხელნაწერი და ელექტრონული დოკუმენტებისა და ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, APA-ს აკადემიური სტილის გამოყენებით.

1.2.15 დანართი (არსებობის შემთხვევაში)

1. დანართში წარმოდგენილია ყველა ის დამატებითი მასალა, რომელიც ავსებს ნაშრომს (მაგ. კითხვარები, სტენოგრაფები, ცხრილები, გრაფიკები, ილუსტრაციები), თუმცა არ არის მითითებული სხვაგან.

1.3 აკადემიური წერის სტილი

1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი იყენებს APA-ს საერთაშორისო აკადემიური წერის სტილს. სამაგისტრო ნაშრომის წერისას შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ აღნიშნული სტილით, სადაც მკაფიოდაა განმარტებული თუ როგორ უნდა მიუთითოთ წყაროები. მაგრამ ვინაიდან ის მორგებულია ინგლისურენოვან ნაშრომებზე, ამიტომ ქართულ ენაზე შესასრულებელ დავალებებში რამდენიმე ცვლილება შევა.
2. აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ტექსტში, როდესაც საუბრობთ რომელიმე უცხოელ ავტორზე მისი სახელი და გვარი უნდა დაწეროთ ქართულ ენაზე და ფრჩხილებში მიუთითოთ ეს ავტორი და წიგნის/სტატიის გამოშვების წელი. უშუალოდ ტექსტში არ უნდა

მიეთითოს ნაშრომის სრული დასახელება. გთავაზობთ ცხრილს, სადაც რამდენიმე ნიმუშია მოყვანილი.

წიგნიდან წყაროს მითითების წესი :

ავტორი	ნაშრომში პირველად მოხსენიების წესი	ნაშრომში განმეორებით მოხსენიების წესი	ბიბლიოგრაფიაში წყაროს მითითების წესი
1 ავტორი	როგორც ჯ. პეტერსენი ამბობს (Petersen, 2009)	როგორც ჯ. პეტერსენი ამბობს (Petersen, 2009)	Petersen, J. (2009). Teaching 101: Classroom strategies for the b beginning teacher (2nd ed.). Thousand Oaks, CA: Corwin.
2 ავტორი	როგორც ფ. პეტერსენი და ლ.პროჩენი ამბობენ (Petersen & Prochner, 2009)	როგორც ფ. პეტერსენი და ლ.პროჩენი ამბობენ (Petersen & Prochner, 2009)	Petersen, P., & Prochner, L. W. (2009). Early childhood care and education: Theory and practice. New Deli, India: Concept.
3-5 ავტორი	როგორც გ. პეტერსენი, რ. მეთიუ და ბ. ბერნეტი აღნიშნავენ (Petersen, Matthew s, & Barnett, 2009)	როგორც გ. პეტერსენი და მისი თანაავტორები აღნიშნავენ (Petersen et al.,)	Petersen, G. R., Matthew s, R. J., & Barnett, B. G. (2009). The power of coaching for school improvement: Nurturing talent and building capacity. Moorabbin, Australia: Hawker Brownlow
6 ან მეტი ავტორი	ავტორი დ. პეტერსენი და მისი თანაავტორები აღნიშნავენ, რომ...	დ. პეტერსენი და მისი თანაავტორები აღნიშნავენ, რომ... (Petersen et al., 2014)	Petersen, D., Brimble, M., Mazola, P., Basu, A., Docherty, P., & Lenten, L. (2014). Financial markets,

	(Petersen et al., 2014)		institutions and money (3rded.). Milton, Australia: Wiley.
ელექტრონული წიგნი	ს. პეტერსენი თავის ნაშრომში ამბობს, რომ (Petersen s, 2015)	ს. პეტერსენი თავის ნაშრომში ამბობს, რომ (Petersen s, 2015)	Petersen, S. (2015). Understanding child development. ჩამოტვირთულია: http://books.eblib.com.eu [01.02.2015]

ჟურნალის ციტირების წესი

ავტორი	ნაშრომში პირველად მოხსენიერის წესი	ნაშრომში განმეორებით მოხსენიების წესი	ბიბლიიოგრაფიაში წყაროს მითითების წესი
ამობეჭდი ლი ვერსია	როგორც ჰ. პეტერსენი ამობობს (Petersen, 2008)	როგორც ჰ. პეტერსენი ამობობს (Petersen, 2008)	Petersen, H. (2008). Learning without limits. Child Education, 85(3), 15- 16.
ელექტრონ ული ვერსია DOI	გ. პეტერსენი, ჯ. ბეარი და ლ. ვეინგარტი თავის ნაშრომში აღნიშნავენ, რომ (Petersen, Bear, & Weingart, 2015)	გ. პეტერსენი, ჯ. ბეარი და ლ. ვეინგარტი თავის ნაშრომში აღნიშნავენ, რომ (Petersen et al., 2015)	Petersen, G., Bear, J. B., & Weingart, L. R. (2015). About FDI in Developing Countries. Journal of Applied Economics, 78(2), 45-46. ჩამოტვირთულია: http://dsx.doi.org

სხვა ონლაინ წყაროები

ავტორი	ნაშრომში პირველად მოხსენიერის წესი	ნაშრომში განმეორებით მოხსენიების წესი	ბიბლიიოგრაფიაში წყაროს მითითების წესი

ვებ– გვერდი	სავალუტო ფონდის მიხედვით (International Monetary Fund [IMF], 2012)	მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზიის მიხედვით (WHO, 2012)	International Monetary Fund. (2012). FDI (Fact sheet No. 312). Retrieved from https://www.imf.org/en/Publications/GFSR/Issues/2019/10/01/global-financial-stability-report-october-2019
ბლოგი	ჯ. პეტერსენი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ (Petersen, 2015)	ჯ. გროჰოლი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ (Petersen, 2015)	Petersen, J. M. (2015). How countries become rich [Web log post]. ჩამოტვირთულია ჩამოტვირთულია: http://abc.blog.com

1.4 სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი

1. შრიფტი: 12 pt
2. დაშორება სტრიქონებს შორის: 1.15
3. ფონტი: Sylfaen
4. ფერი: შავი ფერის (ნებადართულია ფერადი რუკების, დიაგრამების და ა. შ. გამოყენება).
5. მინდორი: დაშორება მარცხნიან 2 სმ; დაშორება მაჯვნიდან 1.5 სმ; დაშორება ზემოდან და ქვემოდან 2.1 სმ.
6. გვერდების რაოდენობა: 40-50 გვერდი დანართების გარეშე.
7. გვერდების დანომვრის წესი: ძირითადი ტექსტი ინომრება თანმიმდევრულად და იწყება არაბული ციფრით 1; გვერდის ნომრები მოთავსებულია ფურცლის ბოლოს - ცენტრში.
8. დანომვრა: ნაშრომის შემადგენელი ნაწილები: თავები, ქვეთავები და პუნქტები უნდა იყოს დანომრილი არაბული ციფრებით. შემოკლებების ჩამონათვალი (საჭიროების შემთხვევაში), შესავალი, დასკვნები და რეკომენდაციები, ბიბლიოგრაფია და დანართები აღინიშნება დამოუკიდებელი შემადგენელი ნაწილების სახით, მაგრამ არ ინომრება.

9. სათაურები და ქვესათაურები: სათაურები და ქვესათაურები უნდა იყოს მოკლე, მკაფიო და შეესაბამებოდეს თემის საგანს და მოცემული ნაწილის შინაარსს. სათაურები და ქვესათაურები არ უნდა შეიცავდეს აბრევიატურას.
10. სქოლიო: განთავსდეს გვერდის ქვედა ნაწილში.
11. დანართი: დამატებითი მასალა, მაგ., კითხვარი, გრაფიკი, დიაგრამა ან სხვ. უნდა იქნეს წარმოდგენილი დანართის სახით.

1.5 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

1. ხელმძღვანელს აქვს პრაქტიკული და თეორიული ცოდნა იმ საკვლევის საკითხის ირგვლივ, რომელსაც სტუდენტი აირჩევს.
2. ხელმძღვანელი ითვალისწინებს სტუდენტის სურვილს საკვლევი თემის შერჩევისას. სტუდენტის სურვილისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ეხმარება მას დააკონკრეტოს კვლევის მიზნები, ამოცანები, მეთოდოლოგია, გეგმა და კვლევასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
3. სტუდენტის კითხვების შემთხვევაში მაქსიმალურად ამომწურავად გასცემს პასუხს, აძლევს მიმართულებას თუ სად და როგორ შეიძლება თეორიული მასალების მოძიება.
4. ხელმძღვანელს აქვს მუდმივი კავშირი ფაკულტეტთან.
5. ხელმძღვანელი დროულად აძლევს უკუკავშირს სტუდენტებს.
6. ხელმძღვანელი აკონტროლებს კვლევის მიმდინარეობას გეგმის შესაბამისად.
7. ხელმძღვანელი მუდმივად საქმის კურსშია სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროგრესზე.
8. ხელმძღვანელი საკუთარი შეხედულებით ან სტუდენტების სურვილის შესაბამისად უნიშნავს მათ შეხვედრებს.
9. ხელმძღვანელს აქვს კავშირი იმ კომპანიის წარმომადგენლებთან, სადაც მისი სტუდენტები ატარებენ კვლევას და პერიოდულად ამოწმებს მათ მუშაობას.
10. ხელმძღვანელი მაქსიმალურად ცდილობს გააკონტროლოს პლაგიატიზმი და შეახსენოს სტუდენტებს ამის შესახებ.
11. უწევს კონსულტაციას ნაშრომის სტრუქტურულად აგებაში.
12. ხელმძღვანელი და რეცენზენტი ვალდებულია შეფასების ფორმაში, კომენტარის სახით განმარტოს, დაწერილი შეფასება ყველა კომპონენტის მიხედვით

1.6 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევა

1. სასწავლო გეგმით დადგენილი მეოთხე სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტი მაგისტრანტებს სთავაზობს სამაგისტრო თემების და ნაშრომის ხელმძღვანელებს. თითოეულ ხელმძღვანელთან სტუდენტთა ადგილების რაოდენობა წინასწარ დგინდება და განსაზღვრულია. სტუდენტებმა საკუთარი ინტერესიდან გამომდინარე უნდა აირჩიონ საკვლევი თემის მიმართულება და ხელმძღვანელი მათი სურვილისამებრს.

4. დანართები

დანართი 1. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა

შესავალი (პრობლემის ანალიზი)

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა
1.1 ინოვაციების თეორიული საფუძვლები
1.2. ინოვაციების პროცესის მცირე და საშუალო საწარმოებში
1.3. ინოვაციების გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესის მწარმოებლურობაზე
თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია
თავი 3. კვლევის შედეგები
დასკვნა
ბიბლიოგრაფია

დანართი 1.
დანართი 2
დანართი 3

გამოყენებული აბრევიატურა

IMF - International Monetary Fund (საერთაშორისო სავალუტო ფონდი)
WB - The World Bank (მსოფლიო ბანკი)
მშპ- მთლიანი შიდა პროდუქტი
პუი- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1: სათაური.....25

ცხრილი 2: სათაური.....65

ცხრილი 3: სათაური.....67

გრაფიკების ჩამონათვალი

გრაფიკი 1: სათაური.....25

გრაფიკი 2: სათაური.....65

გრაფიკი 3: სათაური.....67

სქემის ჩამონათვალი

სქემა 1: სათაური.....25

სქემა 2: სათაური.....65

სქემა 3: სათაური.....67

დანართი 2. თავფურცელი

(1) საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

(საბაკალავრო ნაშრომის სრული სათაური)

(2) ინოვაციების გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე

(სტუდენტის სახელი და გვარი)

(3) რუსუდან დავითაძე

(4) საბაკალავრო ნაშრომი წარმოდგენილია საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე

(5) საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ვახტანგ ჭარაია

(6) თბილისი
2020

დანართი 3. სატიტულო გვერდი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი: [თემის სახელწოდება]

ავტორი: [სახელი და გვარი]

ხელმძღვანელი: [სახელი და გვარი]

თბილისი

2020

დანართი 4. აბსტრაქტი (ქართულად და ინგლისურად)

აბსტრაქტი

აბსტრაქტის ტექსტი ქართულ ენაზე _____

_____

_____

_____

_____

_____

ძირითადი საძიებო სიტყვები: _____ , _____, _____.

Abstract

The text of the abstract in English _____

_____

_____

_____

_____

Key Words: _____, _____, _____.

დანართი 5. სარჩევი

ცხრილების, დიაგრამების და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი 1

შემოკლებების ჩამონათვალი (საჭიროების შემთხვევაში) 2

შესავალი 3

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 5

კვლევის მეთოდოლოგია 15

შედეგების ანალიზი 22

დასკვნები და რეკომენდაციები 45

ბიბლიოგრაფია 48

დანართი 50